

# შინაური საქმეები

№ 20.

კვირა, 24 მაისი 1930 წ.

აღრმისი: ძუთაისი „შინაური საქმეების“, რედაქცია

## ყოველკვირეული გაზეთი.

**შინაარსი:** ოჯახი და შკლა.—მღ. ი. ლუკინა; ენის გაჩენა.—ტ. ჯაფარიძისა; ქართული საეკლესიო წიგნების შემწორების გამოწ.—დიმიტრას მამიდაშვილისა; ულოლიყო ტაქტიკა.—ჭ. ჯგლოვანისა;

საით მივევართ მცირე ცოდნას.—სიტყვა.—მღ. სერგი მაქარაშვილისა; მოწერილი ამბები: საჩხერე.—დეკ.წერეთელისა;ნიგოზეთი.—ღვინიაშვილისა; ბერძნის და მონასტრების საკითხის გამო ჩვენში.—სასულიეროსი;

ყოველკვირეულ გაზეთი

### „შინაურ საქმეებს“

ხელის მოწერას მიადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო—კასაკაფის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ჯ 50 კ.

გაზეთი დებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

## ოჯახი და შკლა.

ინგლისელ შესანიშნავ პსიხოლოგ კარპენტერს მოჰყავს თავის საშეცნიერო თხზულებებაში დიდ-დიდ საინტერესო შემთხვევა.

შოტლანდიაში, პროფესორ აბერკრომბის ხანგრძლივ კლანიკაში, იწვა ერთი საშიშრად ავადმყოფი ქალი. ის კიბიდან ჩამოვარდნილიყო ძირს თავდაღმა, თავი დაერთვა, ტვინი შეწყვეტა, გულ-შეწუხებული მოეტანათ იგი აქ და ხუთ დღეზე მეტი სრულიად უგრძობლად იწვა. ამ მდგომარეობაში ის წარმოსთქვამდა რაღაცა გაუგებარ სიტყვებს ვერავინ ვერ შესძლო გაეგო რას ლაპარაკობდა იგი, მაგრამ ცხადი იყო ის, რომ მის

ლაპარაკი უაზრო ბოღვა არ იყო: მისი უცნაური გაუგებარი სიტყვები წყობისად ითქმებოდა, ხან და ხან ისმოდა მუსიკალური კილო, თითქოს ლექსსა კითხულობდა. თითონ პროფესორი და მის ასისტენტები გულსმოდგინედ ყურს-უგდებდნენ ავადმყოფის ბუტ-ბუტს, მაგრამ ვერც ერთი სიტყვის გაგება ვერ შესძლეს არც ნამენცურ, არც ფრანგულ, არც საზოგადოდ რომელიმე ევროპულ ენაზე; ავადმყოფი-კი ყოველ დღე რაღასაც კითხულობდა გძლათ, ზეპირათ. ყველანი გაუგებრობაში იყვნენ ჩაცვივულნი და ვერ აეხსნათ საქმის ვითარება. ბოლოს, მოიფიქრეს მოეწვიათ უნივერსიტეტიდან კარგად მკოდნე აღმოსავლეთის ძველი ენებისა. ის მოვიდა ყური დაუგდო ავად-მყოფის ლაპარაკს და, ყველას განსაცვიფრებლად, სთვქარომ ავადმყოფი ზეპირათ კითხულობს სანს, კრიტულ ენაზე ინდოეთის პოემების ნაწყვეტებს და ძველ-ებრაულ ენაზე—ბიბლიიდან სხვა და სხვა ადგილებს.

—ნუ თუ მართლა!—ჰკვირობდნენ ეკიმები.—რას ბრძანებთ პროფესორო? ჩვენი შეკრებილი ცნობებით, ეს ავადმყოფი—მოსამსახურე ქალია, წერა-კითხვა-კი არ იცის. მაშ საიდან, და როგორ ეცოდინება თქვენნი სანსკრიტული და ბიბლიის ენა?

—როგორ იცის,—ამას მე ვერ აგისნით უთხრა პროფესორმა-ფილოლოგმა,—მაგრამ



ის კი უტყუარი ფაქტია, რომ თქვენი ავათ-  
მყოფი კითხულობს ლექსებს და ფსალმუნებს  
ძველ ენებზე, და ამას მე ეხლავე დაგიმტკი-  
ცებთ თქვენ.

პროფესორმა მოატაინა ბიბლია და  
პოემები. როდესაც ავათმყოფმა დაიწყო ბუტ-  
ბუტი თავისი გაუგებარი სიტყვებისა, პროფე-  
სორმა საჩქაროდ გადაშალა წიგნი, იპოვნა ის  
ადგილები და დაიწყო კითხვა. ავათმყოფი  
სიტყვა სიტყვაზე იმეორებდა, რასაც პროფე-  
სორი კითხვაში წინ გაუსწრებდა.

ამ გარემოებით ყველანი განცვიფრებუ-  
ლები იყვნენ. ეს ამბავი რომ სამასი წლის  
წინათ მომხდარიყო, ვინ იცის რითი ახსნიდენ  
და როგორ მოეკიდებოდენ უბედურ დედა-  
კაცს; მაგრამ ეს საქმე მოხდა მეცხრამეტე  
საუკუნეში, და გულმოდგინეთ სცდილობდენ  
აფხნაა, ამის მიზეზი, კარგად მოვლის შემდეგ  
ავათმყოფი მოვიდა გონს. თან და თან უკეთ  
გახდა და ლაპარაკიც შეიძლო. მაშინ გამოჰ-  
კითხეს დაწერილებით მისი ამბავი, და აღმოჩ-  
ნდა, რომ დიდი ხნის, ოცი წლის, წინად ეს  
ავათმყოფი დედა-კაცი, პატარა გოგო, ყოფი-  
ლიყო მოსამსახურედ ინგლისელი პასტორის  
სახლში. პასტორი დიდად გამათლებული კაცი  
ყოფილიყო. დასვენებისას მას ჩვეულებად ჰქონ-  
ოდა სეირნობის დროს ხმამაღლა კითხვა სანს-  
კრიტულ ლექსებისა, ან ბიბლიისა ძველ-ებრა-  
ულ ენაზე.

პატარა გოგო ახლოს დარბოდა, ესმოდა  
ყველაფერი ეს, და შთაბეჭდილება ტვინში \*)  
რჩებოდა. მაშინ გოგოს არც ერთი სტრიქო-  
ნის გამეორება არ შეეძლო პასტორის წაკი-  
თხულიდან.

გარნა, მოყვანილი შემთხვევა გვეუბნება  
სხვა რამეს. არაფერი არ იკარგება ჩვენი  
სულიერი ცხოვრებიდან უკვალოდ. გადის  
ერთი წელიწადი, ხუთი, ათი; კაცს ეჩვენება,

\*) ტვინი ვერაფერს შეინახავს რადგან ყოველ  
შეიდ წელიწადში თარჯერ მაინც იცვლება და მაშას  
დამე დაბეჭდილიც, თუ აღბეჭდილიც თან უნდა მოი-  
შალოს.

რედ.

თითქოს ყველაფერი დავიწყებულია, მეხსიერე-  
ბიდან აღზოცილია; მაგრამ არა: საკმარისია  
ძლიერი შერყევა,—და წარსული, ნახული და  
გაგონილი სულის სიღრმიდან გამოდის კარშა.  
აი მაგალითად, რაღაცა უცნაური, უცნობი,  
გაუგებარი სიტყვები წარმოითქმება და მორბე-  
ნალ გოგოს წინ; გადის ოცი, ოც და ხვთი,  
წელიწადი, და ტვინის შერყევის შემდეგ, ეს  
ქალი იმეორებს იმ სიტყვებს ბოდაში სრუ-  
ლიად წყობისად, თითქოს წიგნი კითხულობ-  
სო. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ჩვენი სული  
როგორც გაუმჯობესებული ფოტოგრაფიული  
აპპარატი, აღუზოცელად და სამუდამოდ აღ-  
ბეჭდავს ყოველივე ნახულს და გაგონილს.  
სული, ეს ისეთი ნაზი და გრძნობიერია, რომ  
თვით უბრალო ცხოვრების რაიმე მოვლენა  
სტოვებს მასზე თავის კვალს. თვითეული სიტ-  
ყვა, თვითეული შეხვედრა, თვითეული სხვისი  
მოძრაობა, თვისი საკუთარი გავლებული აზრი,  
ყოველივე ეს თავის გავლენას სტოვებს. მაშა-  
სადამე, ადამიანის აღზრდა, შემუშავება ხასი-  
ათისა დაიწყება იმ წამიდანვე, რა წამს ბავ-  
ში პირველათვე ცნობიერებაში მოვა. რო-  
გორც-კი ბავშმა გაიღიმა, როგორც-კი მის  
თვალეში აზრი რამე გამოსჭუვდა,—ოგი უკ-  
ვე მასალაა, რომელიც მოელის შემუშავებას,

შესანიშნავი მკოდნე ბავშვის ბუნებისა  
პერტე ამბობს, რომ ბავშვი, არსებობის პირ-  
ველ ოთხ წელიწადს, გაცილებით უფრო  
ბევრს იძენს, მინამ შემდეგში რამდენიმე ათი  
წლის განმავლობაში, თუნდაც გიმნაზიაში  
და უნივერსიტეტში სწავლის დროს; იგი  
ეცნობება მრავალ საგანს, სწავლობს მათ  
სახელებს, ლაპარაკს, იძენს თავისებურ შეხე-  
დულობას: პირველ წლებშივე ბავში იძენს  
ხასიათის ამა თუ ამ დაწყებითი თვისებებს.  
ტყუილად-კი არ ლაპარაკობენ: როგორიცაა  
აკვანში, ასეთივეა საფლავში\*ო.

მიიღებინ, თუ არა ოჯახისა და შკოლის  
მიერ ასეთი უბრალო, ცხადი და ფრიად სა-  
ჭირო მოსაზრებანი?—უნდა გამოვტყუდეთ, რომ  
არა. ოჯახი სჩივის უთანხმოებაზე ბავშვებს  
და მშობლებს შორის; შკოლა კიდევ—იმაზე,  
რომ არ არის რიგიანი კავშირი მოწაფეებსა

და სასწავლებელ შორის. ორივე შემთხვევაში დანაშაული უფროსების მხარეზეა. მშობლებსა ჰყავთ ისეთი შვილები, რომელნიც იმათ დაუ-მსახურებიან: შკოლა კიდევ უშვებს ისეთ აღზრდილებს, როგორც თითონ იმან მოამ-ზა. ჩვენ ოჯახსა და შკოლას ჯერ კიდევ არა აქვს თავში კარგად გათქვეფილი ის აზრი რომ პირველი მათი მოვალეობა ბავშვებისად-მი არის აღზრდა.

დოსტოევისკი, არჩევს-რა მკითხველის განწყობილებას წიგნთან, აჩვენებს განვითარე-ბის სამ საფეხურს. იგი ამბობს: ერთნი წიგნს მხოლოდ კითხულობენ; სხვასა სთხოვენ წიგ-ნს, მაგრამ თითონ არა ყიდულობენ; მეორე-ნი ფულს არ ინანებენ, წიგნს ყიდულობენ და კითხულობდენ: მესამენი კითხულობენ, ყიდულობენ და ყდაში სვამენ წიგნს, ინახავენ, უფთხილდებიან მას, როგორც საყვარელ სა-განს. აი ეგრეთვე შეიძლება აღვნიშნოთ სამი საფეხური ოჯახის განწყობილებაში ბავშვებ-თან. პირველი და დაბალი ხანა, როდესაც ოჯახი ზრუნავს ბავშვების მხოლოდ ფიზიკურ არსებობაზე; მეორე, როდესაც ზრუნავს მათ გონებრივ განვითარებაზე, და მესამე—უმა-ღლესი, როდესაც პირველ ხარისხზე აყენებენ ზნეობრივ აღზრდას, როდესაც სცდილობენ რომ მისცენ ბავშვებს არა დიპლომი, რო-გორც პატენტი მსუქანი საქმლის კამის, — არა-მედ იმაზე, რომ გამოიყვანონ ბავშვები ალა-მახანად, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელო-ბით. ჩვენ ვერც ოჯახში, ვერც სკოლაში ჯერ ვერ ავსულვართ მესამე ხანამდის. ოჯახში მამა თავის მოვალეობას შვილების მიმართ საზღვრავს მით, რომ მისცეს საშვალბანი მათ გამოსაზრდელად. ხან და ხან მამა იქერს რო-ღს სასტიკი მსაჯულის და დამსჯელისას. დანარჩენი მინდობილია დედის მზრუნველობა-ზე. (ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, მომეტებულ ნაწილზე. არის აქედან ბედნიერი გამოკლებანი, მხოლოდ სამწუხაროდ, გამო-კლებანი). დედას ბევრი შეუძლიან გააკეთოს აღზრდის საქმეში. ის ხედავს პირველ დიმილს შვილისას, ესმის პირველი მისი ტიკტიკი, ამჩნევს პირველ მის ცნობიერებას. მისი გავ-

ლენა დიდი და საკეთილო იქნება, მაგრამ ამისათვის საჭიროა მომზადება, რომელიც არა აქვს ჩვენი ქალების მომეტებულ ნაწილს. ოჯახში არ არის ინტერესი აღზრდის კითხვე-ბის შეგნებისა. თუმცა ბავშვის უმანკო ბუნე-ბა ძვირფასი ქვა არის, რომელიც ათას-ფრად გამოსქვივის, მაგრამ ეს ქვა მოითხოვს დიდ და კარგ შემუშავებას. მემკვიდრეობითი გადაცე-მის გზით ბავშს დაბადებიდანვე დაჰყვება ბევრნაირი ცუდი და დაბალი ბუნებითი მიდრეკილებანი. დიდი ყურადღება და ცოდ-ნა საჭირო ამ მიდრეკილებათა დროზე შესა-მჩნევლად და, რამდენათაც შესაძლებელია, მათი ფესვებშივე მოსპობა, ან ხელოვნურად შეჩერება მათი ზრდისა. გარდა ამისა, არა კმარა ის, რომ დაიხშოს ბოროტების მარცვ-ლები, საჭიროა დაითესოს და აღმოცენდეს სიკეთის მარცვლები. საჭიროა ბავშვებში გავალვიძოთ და გავამტკიცოთ კეთილი გრძო-ბები, მათ ნებას მივცეთ მრმართულება საუ-კუნო სიმართლის და სულიერი სილამაზის ძებნისა; პირველად საჭიროა ბავშვისაგან მოვა-მზადოთ „ადამიანი“, და არა ინჟინერი, ჩინო-ვნიკი, ექიმი, მოსამართლე და მხატვარი.

ჩინოვნიკები, ექიმები, მხატვრები, მღვ-დლები, მასწავლებლები, იურისტები ჩვენ-ში ბევრია, ხოლო „ადამიანები“, რა საქმეც უნდა აიღო, რა სამსახურსაც უნდა შეეხო, ძალიან ცოტანი არიან. ძველად დიოგენს ჰკითხეს აბანოდან გამოსვლისას: „ბევრია იქ ხალხი?“ — „ხალხი ბევრია, — უპასუხა იმან, — მაგრამ აღმახანები ვერ ვნახე; ბევრი ვუცქირე-ძალიან ბევრი, მაგრამ ვერც ერთი კაცი ვერ შევამჩნიე“. დიოგენის ბოროტ ირონიას ჩვენ დროშიაც არ დაუკარგავს თავისი სიმწარე. ნამდვილი აღმახანები ეხლაც ყველგან ძალიან ცოტანია. ნიადაგი ვერ აძლევს ხელს მის ზრდას; არ არის ამ ნიადაგში საჭირო ელე-მენტები მის ზრდისთვის.

არ შევლის საქმეს ბავშვების გადასვლ-ოჯახის გავლენიდან შკოლის გავლენის ქვეშა ჩვენი შკოლა ამ შემთხვევაში, თუ აკეთებ-რამეს, იგი მხოლოდ გარეგნულად სწრთენის ბავშვებს. ნამდვილი აღზრდა-კი შინაარსად

უნდა სწრთვნიდეს. გარეგნული გაწვრთნა საჭიროა მხოლოდ სამხედრო საქმეში, სადაც მთელი ჯარის ხსნისათვის, სამშობლოს სიკეთისათვის, უნდა მიეცეს ნამდვილ სიკვდილს ცალკე ნაწილი ან მკარე გუნდი ჯარისა. აქ აღვნიშნავთ არ არის დამუოკიდებული ბჭობისა ცალკე ერთეულის, თვითთელი სალდათის მიერ; აქ საჭიროა ბრმა მექანიკური დამორჩილება სხვის ნებასთან. ჩვეულებრივ ცხოვრებაში-კი თვითთელ ადამიანში ძვირფასია ყველაზე პირველად მისი შინაგანი გაწვრთნა, ბავშობიდანვე აღზდილი ზნეობრივი რიგია-ნობა. ეს გაწვრთნა შეიმუშავება არა გარეგნული სასტიკი და დამსჯელი საშუალებებით, არამედ ზნეობრივად მტკიცე პიროვნების შემუშავებით. გარეგნული დისციპლინა ჰგავს შერყეული შენობის კედლების დამამაგრებელ რკინას. ეს რკინა რაც უნდა მსხვილი იყოს, რაც უნდა მაგრა იქერდეს კედლებს, შენობა მაინც მკვიდრი არ იქნება; რა წამსაც შემაკავშირებელი ბკინა მოიშლება, კედლები მაშინვე დაინგრევიან. თუ კაცს უნდა, რომ შენობა მკვიდრი ჰქონდეს, რომელსაც შეეძლოს მიწის-ძვრას და დიდ ქარიშხალსაც გაუძლოს, ამისათვის საჭიროა, რომ თითო ქვა შიგნეთლათ მაგრათ იყვეს შეკავშირებული, კირით ან ცემენტით შედუღებულია.

შკოლამ თუ უნდა შეიმუშავოს თავის მოწაფეებში მთლიანი ზნეობრივი პიროვნება, იმან უნდა იქონიოს გავლენა შინაგანი მოქმედებით. აქ არის საჭირო თვით მასწავლებელ-ადმზრდელთა კეთილი მაგალითი, მათი მხურვალე გატაცება თავის საქმით, გულწრფელი სიყვარული საქმისა გულსმოდგინე მოწოდება სიმართლისა და სიკეთისადმი, და არა გარეგნული გულცივა კანონები ყოფაქცევისა და მექანიკური ყურისგდება.

აიღეთ, მაგალითად, თვით ჩვეულებრივი მოელენა შკოლური ცხოვრებისა—პაპიროსის წევა. შკოლაში ეს სასტიკად აკრძალულია; ვისაც შეამჩნევენ, სჯიან კარცებით, ყოფაქცევაში ცუდი ნიშნებით, ხან და ხან გამოორიციხეთაც.

კარგი იქნებოდა აენხნათ ბავშვებისთვის

გონივრულათ და სიყვარულით, რომ უნცროსებს ხასიათად აქვსთ მიბაძვა უფროსებისა, რომ ბავშვებს უნდათ თავიანთ წლოვანობაზე უფროსად გამოიყურებოდნენ, რომ ეს ყოველთვის კარგი არ არის. უფროსებს ღირსებებთან ერთად ბევრი ნაკლულეფანებაც აქვთ, და რომ ცუდში არ უნდა მიჰბაძონ უმცროსებმა უფროსებს. შემდეგში, ნათლად უნდა აუხსნან, რა უბედურობას წარმოადგენს ადამიანისათვის თამბაქო, რა ზარალი მოაქვს მას, და რა სამარცხვინოა გონიერი ადამიანისთვის თავის ჟინის მონად ყოფნა. ყოველივე ეს, უეჭველია, იქონიებს თავის გავლენას მოსწავლე ახალგაზდობაზე, და ბევრს უარს ათქმევინებს თამბაქოზე.

ამის მაგივრად როგორ იქცევიან? მომელიმე პარაგრაფი ამბობს, რომ პაპიროსის წევა სასტიკად აღკრძალულია, დაისჯება ამითი და ამითიო. შკოლის ინსპექცია ერთგულად იქერს დამნაშავეებს, სჯის და ამითი თავდება ყოველივე ზნეობრივი ზედ-გავლენა. და ეს ასე ხდება არა მარტო წვრილმალ საქმეებში, არამედ დიდ-მნიშვნელოვან საკითხებშიაც.

ყოველივე ეს ამტკიცებს შინაგანი დისციპლინის უარ-ყოფას. წარმოვიდგინოთ, დაიშალა გარეკანი თავის-დაქერა, მაშინ მოსწავლე ახალგაზდა შინაგან ვერ შემძლობაშიაც ვარდება. იმის თვალ წინ არ იხატება ნათლად სიდიადე ცხოვრების გამოცანისა; ის სერიოზულად არ ემზადება ცხოვრების დეაწლისათვის, არ უფთხილდება საუკეთესო წლებს სიცოცხლისას. შკოლა ზრუნავს მარტო იმაზე, რომ მისმა მოწაფემ არ დაერღვიოს გარეგანი წესიერება კედლებში; ხოლო როგორი გამოვა ის ცხოვრებაში, იქნება, თუ არა ის კეთილ-სინდისიერი მუშაკი იდეიურ საქმეში, ამაზე შკოლა არა ფიქრობს.

მლ. ათანე ლუკიანოვი.



## ენის გაჩენა.

შემთხვევაში გაიმეორებს ხოლმე იმ ხმებს სიოლი ამბობს რომ ბავშვს, რომელიც 58 დღის იყო ერთმა ყმაწვილმა ქალმა რამდენჯერმე უთხრა „guten Morgen“ (დილაშვილობის), ბავშვს ეტყობოდაო, რომ რაღაცას თქმას ებირებოდაო და ბოლოს დიდი ხნის მეცადინეობის შემდეგ გაგრძელებით წარმოსთქვაო guuu...<sup>1)</sup> პერეს აზრით როიალის ხმებსაც მეორე თვიდან პბა-ძავს ბავში.<sup>2)</sup> როცა ბავში ხედავს საგანს და იღებს ხმას, რომ ცხადია ვიცოდეთ რას ამბობს ის, ამისთვის საჭიროა მისი ენის ცოდნა, რაც ყოველი სურვილისა და მეცადინეობის მიუხედავად შეუძლებელია ჩვენთვის. მხოლოდ განსაზრებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მით ბავშვს სურს აღნიშნოს საგანი მისი ერთი შესატყობი ნიშანი. რომ ეს ასეა მოვიყვანოთ მაგალითს და თუ მკითხველი თავის საკუთარ დაკვირვებას მიმართავს, კიდევ დაგვერწმუნება ჩვენ, რომ ბავშვს მიუტანოთ ახლოს და ვაჩვენოთ რამე საგანი, ვსთქვათ დიდი გლობუსი, რომელზედაც ერთგან წითელი ფერი შესამჩნევად ეტყობა, ბავში (თუ ორი თვის მაინც არის) ხმას ამოიღებს. ჩვენი აზრით გარდა მთელი საგნისა, ის ადგილი, სადაც წითელი ფერია შესამჩნევად, განსაკუთრებით მოჭქმედებს ბავშვის მხედველობაზე და ბავშიც იმას გვანიშნებს ხმებით. ეს რომ ასეა იქიდგანაც მტკიცდება, რომ ბავში თითხაც იქით იშვევს, სადაც წითელი ფერია და თვალებსაც იმ წერტილზე აჩერებს. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხმები, რომლებსაც ამბობს ბავში, გამოწვეულია ერთი რომელიმე შესატყობი ნიშანისაგან, თუმცა მთელს საგანს კი ნიშნავს, რადგან საგანს ბავში იღებს სრულად მთლად (всѣломъ); გაყოფა საგნისა ცალ-ცალკე ნაწილებათ მას კიდევ არ შეუძლია. აქვე ხდება ასსოციაცია (გადიბმა) ესე

იგი ხმების შეერთება საგანთან, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საგნის იმ შესატყობ ნიშანთან, რომელმაც გამოიწვია ხმები. როცა ამავე საგანს ხედავს ბავში ის იმავე ხმებს იმეორებს, რომელიც წინედ წარმოსთქვა იმ საგნის დანახვის დროს. ასე რომ საგანსა და ხმებს შორის მჭიდრე კავშირი კეთდება და შემდეგში საგნის დანახვა გამოიწვევს ბავში შესაფერ ხმებს. ბავშია თუ რამდენჯერმე დაინახა კატა და გაიგონა მისი ხმა, შემდეგ, როცა კი დაინახავს კატას, თუნდა ის ხმასაც არ იღებდეს, ბავში მაინც იმეორებს პირვანდელ ხმებს. რატომ? მიტომ რომ საგანს და ხმებს ბავში თავისს შეგნებაში აკავშირებს ერთმანეთთან. ამ გვარად წარმოდგენა ნივთზე და ხმებზე ასსოციაციის კანონით ებმის ერთმანეთს.<sup>1)</sup> როგორც საგნის დანახვა (მეორედ ანუ მეტად) გამოიწვევს ბავში შესაფერ ხმებს, აგრეთვე ხმების გაგონება გამოიწვევს წარმოდგენას იმ საგანზე, რომლისგანაც მიიღო ის ხმები. მაგალითად დედის ხმას ბავში აღრევე სცნობს თუმცა ვერ ხედავდა დედას.<sup>2)</sup> ამ გვარად ყოველი საგანი ინიშნება ხმებით ეს ხმები კი შეადგენს სიტყვას; სიტყვებით, მართლად ამბობს კრუშევსკია, მნიშვნელობას იღებს მხოლოდ ასსოციაციის კანონის მეოხებით.<sup>3)</sup>

როცა კი უჩდება ბავშვს წარმოდგენა საგანზე და საგანი ხმებს უკავშირდება შემდეგ ბავშვს შეუძლია მეხსიერების შემწეობით საგანი, რომელმაც უწინ დასტოვა მის შეგნებაში კვალი, წარმოიდგინოს და ხმებიც ასსოციაციის ძალით გაიმეოროს. მაგალითად, ხშირად ბავში ვერ ხედავს ძუძუს, მაგრამ როცა მოშივდება იგივე ხმები მოისმის მისგან, რომელსაც ვისმენთ მაშინ, როცა ძუძუს სწოვს ანუ ეპირება წოვას. მოკლედ რომ ვსთქვათ ზემო აღნიშნული პროცესისი ასე ხდება. ყოველი საგანი ბავშვზე ახდენს შთაბეჭდილებას; საგნის სახე ბავშვის შეგნებაში სტოვებს კვალს და ბავშვს უჩდება წარმოდგენა საგანზე; როცა

<sup>1)</sup> Крушевский. Очерки по наукѣ о языкѣ. 85. 18.

<sup>2)</sup> შეადარე Снегиревъ. Психологія 420.

<sup>3)</sup> Крушевский. ibid.

<sup>1)</sup> Энциклопедія семейнаго воспитанія. выпускъ VI гв. 30.

) ibid.

ბავში ამხნევს საგანს ან მის შესატყობ ნიშანს იღებს ხვას და ამ ხმებს აერთებს ანუ აბამს საგანათან, შემდეგ მესხიერების დახმარებით ინახსოვრებს და შემთხვევის და მიხედვით გაიხსენებს ხოლმე და იმეორებს.

ამ სახით შესაძლო იყო გაჩენილი იყოს ენა წმარმოდგენილებითი (языкъ представлний). ასეთი ხანა კიდევ იყო კაცობრიობის ცხოვრებაში. <sup>1)</sup> როცა ასეთი ენა შექმნა კაცმა მან უკვე ჩაუგდო სარძიკველი მომავალ შენობას ანუ შემუშავებულ ორგანიზულ ენას. პირველი ძნელი ნიბიჯი უკვე იყო გადადგმული წინ მასალა მზად იყო: საჭირო იყო მხოლოდ შემუშავება და ვარჯიშობა სხვა ნიქის დახმარებით. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გვარი ენით, ესე იგი როცა კაცს ჰქონდა რამოდენიმე სიტყვა, როგორც ფორმა წარმოდგენილებისა, კაცობრიობა დიდხანს ვერ დაუწყაყოფილდებოდა და ვერ განვითარდებოდა; რადგან მარტო საგნის აღნიშვნა არ კმარიყო აზრის გამოსახატავად; საჭირო იყო აღნიშვნა კაცს საგნის თვისება, მდგომარეობა, მდებარეობა და სხვა, ესე იგი გამოთხატა აზრი რისათვისაც საჭირო იყო გარდა კონკრეტული სიტყვებისა, განყენებული სიტყვები.

როცა კაცს გონებრივი ჰორიზონტი ცოტ-ცოტად უფართოვდებოდა, ის ყურადღებას აქცევდა არა მარტო საგანს, არამედ საგნის ნაწილებს და სხვადასხვა შესატყობ ნიშნებს, ამ გვარად უჩნდებოდა ახალ-ახალი წარმოდგენილება და სიტყვებიც იმ კანონით, რომელიც ზემოთ იყო ნაჩვენები, ამ სახით კაცი ჰყოფდა საგანს რამოდენიმე ნაწილად და მათ ცალ-ცალკე ნიშნავდა, აგრეთვე რამოდენიმე საგანს ერთმანეთს აღარებდა და აერთებდა. აქ ეხმარებოდა კაცს აზროვნებითი ნიქი, განსაკუთრებით შედარებითი და შემადარებელი მოქმედება აზროვნებითი ნიქისა. ენის გაჩენისთვის კიდევ საჭირო იყო განება, უპირველესად მისი ერთი თვისება—განყენ-

ბითი მოქმედება, (отвлечение) რის საშუალებითაც ჩვენს შეგნებაში ხდება საგნიდგან განყენება ნიშნების, თვისების, მდგომარეობის და მათი დამოუკიდებლად წარმოდგენა, საზოგადოდ განყენებითი აზროვნებით კაცი არდგენს ცნებებს (понятія) და ამაზე კი დამოკიდებულია ენა. მიუფლურის,<sup>1)</sup> ტენის,<sup>2)</sup> ფესიანკო-კუფიკავსკის და სხვათა აზრით ენის გაჩენა მქიდრედ არის დამოკიდებული განყენებულ ცნებებზე, რაც კაცის განსაკუთრებით თვისებას შეადგენს ცხოველებთან შედარებით. რომ ცხადათ დავინახოთ თუ რა მნიშვნელობა აქვს განყენებით აზროვნებას ენის გაჩენაში და რამდენად დიდია საზოგადოდ გონების მონაწილეობა ენის შექმნაში ამისთვის საჭიროა მოკლედ მაინც შევეხოთ ცხოველების ფსიხიურ ბუნებას.

ყველასათვის ცხადია, რომ განყენებითი აზროვნება შეუძლებელია ცხოველებისთვის. ცხოველების შეგნება მიქვდილია საგანზე, როცა ხედავს საგანს ცხოველი მაშინ წარმოდგენაც აქვს მაზე. როცა არ არის საგანი წარმოდგენაც იკარგება ეს ხდება მისთვის, რომ საგანი აქვს წარმოდგენილი ცხოველს მთლად (въ цѣломъ) საგნის გაყოფა, განაწილება ანუ ნიშნების დაშორება და განყენება საგნიდგან ცხოველების შეგნებაში არ ხდება, და რადგანათაც არა აქვსთ განყენებითი აზროვნების ნიქი, მათთვის შეუძლებელია განყენებითი წარმოდგენის და მით უმეტეს ცნებების შედგენა; უამისოდ კი შეუძლებელია რაცხვითი გაფართოება აზრის (идей) და განვითარება.<sup>3)</sup> წარმოდგენა, გრძობა (მაგ. შიში, მტრობა...) მესხიერება და შეგნება არის თვისება ცხოველების სულიერი ბუნებისა,<sup>4)</sup> მაგრამ ეს არ ემარა ენის გაჩენისთვის (შექმნისთვის), არა აქვსთ ცხოველებს გონება და ამიტომაც არა აქვსთ ენა. ენა არის ერთი უმთავრესი კამასხვავებელი ნიშანი კაცის ცხოველებსაგან

1) Каптеревъ. Изъ исторіи души. 83. 2 შედარე Потебня. Записки по русской грамматикѣ 1, 83. 80.

1) Лекції по наукѣ о языкѣ 35. 290 и 294

2) Объ умѣ и познаніи 323 და 327

3) Языкѣ и искусство 1895 წ. 83. 15, 21 და 22.

4) М. Мюллеръ. Лек. по наукѣ. о яз. 83. 267

„ენა არის ის საზღვარი, ამბობს მიუღღერი, რომლის გადაბარებასაც ვერც ერთი ცხოველი ვერ გაბედავს.“<sup>1)</sup>

ამ გვარად წარმოდგენილებითი ნიჭი, აზროვნება, მეხსიერება და გონება, რომელიც გამოიხატება განყენებულ აზროვნებაში ცნების შედგენაში და უმაღლესი იდეების შეთხზვაში, არიან ის ფსიხოლოგიური პირობები რომელთა შემწევობით წარმოდგა ენა. გარდა ფსიხოლოგიური პირობებისა ენის გაჩენისთვის აუცილებელი იყო ფიზიოლოგიური პირობებიც, მაგალითად, სასის (ყრონტის) მოწყობილობა. შენიშნულია, რომ ცხოველების სასის (ყრონტის) მოწყობილობა არ წააგავს კაცისას, ფრინველების კი ბევრით წაადა ამით უნდა ავხსნათ, რომ ფრინველები უკეთ ვაძვენ კაცს სიტყვების გამოთქმას. მეტი მნიშვნელობა ენის გაჩენაში კი ფსიხოლოგიურ პირობებსა აქვს, „ფიზიოლოგიური პირობის გარდა ენის შექმნა ამტკიცებს კაცის სულიერი ბუნების განსაკუთრებით თვისებებს ამბობს ა. შატკინა“<sup>2)</sup> მართლაც, მუჩეები ფიზიოლოგიური მიზეზებისა გამო ვერ ლაპარაკობენ ესე იგი ჩვენდა გასაგებად მარტივად ვერ იღებენ ხმას, მაგრამ ენა მათ მაინც აქვთ, ნიჭი და გონება ნებას აძლევს მათ შეითვისონ ენა და თითონაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ ენის შექმნაში, თუმცა თვის მონიწილეობას ვერ დავანახებენ, ესე იგი ვერ გამოთქმენ ხმებს ფიზიოლოგიური ნაკლის გამო. ფრინველები კი, თუმცა ფიზიოლოგიური პირობა ხელს უწყობს მათ და სიტყვებს კარგათაც ამბობენ, მაგალითად თუთიყუში, მაგრამ ენა მაინც არა აქვთ, რადგან ფსიხოლოგიური პირობები არ ეწყება მათ. კიდევ საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ცხოველების ენაზე, რადგანათაც განსხვავება კაცის

და ცხოველების ენას შორის უფრო ცხადად გვაჩვენებს, თუ სად არის უმთავრესი მიზეზი, უკეთ რომ ვსთქვათ, პირობა ენის გაჩენისა.

**ბ. ჯაფარიძე**

(შემდეგი იქნება).

**ქართული საეკლესიო წიგნების შესწორების გამო.**

კვერეკისი „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა,“ რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში შეუწყვეტლად გაისმოდა ჩვენს ეკლესიაში და ყველას მშვენივრად ესმოდა მისი შინაარსი, ყველას სჯეროდა მისი სისწორე და გრამატიკული უნაკულოობა, დღეს ზოგიერთებისათვის ლამის „ლოდად შებრკოლებისა და კლდედ საცთურებისა“ შეიქნეს. ჯერ იყო და აიჩემეს „აღუსრულოთ“ გაფათათ-ს ნიშნავსო, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს მტყნარი შეცდომაა და მადლობა ღმერთს, რომ ახლა ამაზე აღარ დაობენ. მაგრამ საცილობლათ გაუხდიათ კვერეკისის ფორმა, წუნსა სდებენ მის (კვერეკისის) გრამატიკულ და ლოდიკურ გაწყობილობას.

აი, სხვათა შორის, როგორა მსჯელობს ადებული კვერეკისის ფორმის შესახებ ყოვლად სამღვდელო დავითი:

„აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა,“ სრულიად არ ხატავს იმ ურთიერთობას, იმ დამოკიდებულებას ღვთისა და კაცს შუა, რომლის აღნიშვნა თქვენ გინდათ: „სიმონ, წაუკითხე ივანეს წიგნი. როცა სიმონი კითხულობს წიგნს, იგი კითხულობს არა თავისთვის, არამედ ივანესთვის და შეიძლება სრულიადაც არ გულისხმასყოფდეს იმას, რასაც კითხულობს; იგი აქ პასხიურ მდგომარეობაშია, იგი ისმენს და ითვისებს იმას, რაც იკითხება.“<sup>3)</sup>...

<sup>1)</sup> И. Соломоновский. Филологическія записки за 1892 г. выпускъ II гл. 49 და შემდეგი.

<sup>2)</sup> Мюллеръ. Лемціи по наукѣ о языкѣ гл. 289.

<sup>3)</sup> А. Потебня. языкъ и мысль гл. 117.

<sup>4)</sup> იმ. შინ. საქ. 19:0 წ. № 2.

პირველ ყოვლისა უვარგისი და მთლად უადგილოა ეს, ვითომდა საკითხის განსამართლებლად ხმარებული, მაგალითი.

ყოველად სამღვდელთა და ვითისაგან აღებულ მაგალითში სვიმონს ევალემა წიგნის წაკითხვა და თვით მბძანებელი ან დამვალეზელი თავისუფალია, როგორც კითხვაში მონაწილეობის მიღებისაგან, ისე წაკითხულის მოსმენისაგან; ნაჩვენებ კვერქსში კი მღვდელმოქმედი პირი სხვებს რომ მოიწვევს და ავალებს „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“, იმავე დროს თავის თავსაც შიგ ატანს მოწვევაში, ე. ი. თითონაც ვალად იდგენს სხვებთან ერთად ვედრების აღსრულებას; ეს ერთი; სვიმონმა უნდა შეასრულოს სხვის ბძანება ან დავალება, მღვდელმოქმედ პირს კი, კვერქსის მიხედვით, არავინ არ უბძანებს, არავინ არ სთხოვს და არავინ არ იძულებს ვედრების აღსრულებას გარდა საკუთარი ნებისა, საკუთარი სურვილისა, საკუთარი შეგნებისა, საკუთარი რწმენისა, საკუთარი „მე“-სი; ეს მეორე. მესამე, სვიმონმა უნდა წაიკითხოს წიგნი ივანესთვის და არა თავისთვის, მღვდელმოქმედ პირმა კი, როგორც კვერქსი გვაძენებს, უნდა აღსრულოს ვედრება, როგორც სხვებისთვის, ისე თავის თავისთვის. ბოლოს, სვიმონს ევალემა არა ზნეობრივი, არა სარწმუნოებრივი ხასიათის საქმე, არამედ უბრალო კითხვა, ნაჩვენები კვერქსის წარმომთქმელმა სამღვდელთა პირმა კი უნდა აღსრულოს სარწმუნოებრივი აქტი, ზნეობრივი საქმე. ეს აქტები კი სულ სხვა და სხვა ბუნებისანი არიან და ერთი მეორეს ისე არ უდგებიან, როგორც ზეთი და წყალი. ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მოქმედება ადამიანისა უსათუოდ თავისუფალი, ნება-ყოფლობითი და შეგნებულია, შეუგნებელი, პასიური და იძულებითი საქციელი მოკლებულია ზნეობრივ მნიშვნელობას და ღირებულობას. ვეთანხმებით ყოველად სამღვდელთს, რომ რადგანაც სიმონი კითხულობს წიგნს ივანესთვის და არა თავისთვის, შეიძლება სრულიადაც არ მიიქციოს ყურადღება იმს, რასაც კითხულობს, შეიძლება უგულოდ, პასიურად და მანქანებ-

რივად შეასრულოს ეს კითხვა, მაგრამ მერე აქედამ რა დასკვნის გამოყვანა ნებას მის მეთუფებას? რაში უნდა გამოიყენოს ეს მაგალითი? ნუთუ ვედრების ბუნება ითმენს შევედრებელის უგულობას, შევედრებელის სულია და გონების უმონაწილეობას? მაინც საქმე გვექნებოდა გამოხატვით, საზიზღარ სიყალბესთან და არა ლოცვასთან. მე რომ ეპისკოპოს დავითს ვთხოვო—მიცვალეზულ პაპაჩემს უწირეთ სიმონის ტაძარში და შევდეგ წირვისა პანაშვილი გადაუხადეთ მეთქი მას საფლავზე, განა რა კი აქ წირვა ევალემა მას პაპიჩემისთვის და არა თავისთვის, უგულოდ, პასიურად და მანქანებრივად უნდა შეემისრულოს სათხოვარი?

მაშ რომელი მხრით უდგება ეპისკოპოსი დავითისგან მოყვანილი მაგალითი კვერქსს „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“? არა რომელიმე მხრით. რას გვახვედრებს, რას გვიმართავს ეს მაგალითი? არაფრისგან არაფერს. რა ფასი აქვს ამ მაგალითს? არავითარი, იგი სულ უადგილო და შეუსაბამოა.

გავაგრძელოთ კიდევ ეპისკოპოსი დავითის მსჯელობა: „ახლა ვიტყვით: აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა.“ ამ სიტყვებიდან გამოდის, ვითომც ჩვენს ლოცვაში ღმერთი საჭიროებდეს\*ო, ბძანებს მისი მეთუფება\*)

საიდან და რაფრად გამოდის ეს, მეთუფო?!

და არამც თუ ჩვენი ლოცვა, მთელი ქვეყნის არსებობა, ცისა და დედამიწის საყვებაც არავითარ საჭიროებას და მოთხოვნილებას არ შეადგენს ღვთისათვის. იგი ყოველად სრული და ყოველად ნეტარია, მას არავისაგან არაფერი არა ესაჭიროება რა. ეს დასაბამითი დოღმატია ჩვენი სარწმუნოებისა და ნუთუ ქართული ეკლესია მეცამეტე საუკუნიდან მწვალებლობას გზას დაადგა და კონდაკში შეიტანა ყოველ დღე წარმოსათქმელად ისეთი კვერქსი, რომელიც გვიქადაგებს ჩვენს ლოცვაში ღმერთი საჭიროებო?

მართალია, დღეს ჩვენ აღქურვილები

\*) იხილ, ეპ. დავითის წიგნაკი „ახლანდელ კონდაკის ტექსტის შესწორების საჭიროება“



ვართ მეჩად მეცნიერული საქურველით, ზეპირათვიცით თ. ჟორდანიასი, მ. ჯანაშვილისა, ა. ქუთათელაძისა, ს. ხუნდაძისა და სხვეზის გრამატიკები, ვაგვიგია სუბინები, ჩასართები, ორკეცი ბრუნვები და ამ გვარები, მაგრამ, მიუხიდავთ ყველა ამისა, მაინც კიდევ უნდა გვეფიქრობოდეს იმისი შესწორება, რასაც რვა საუკუნის განმავლობაში ყოველ დღე რამდენჯერმე იმეორებდა მთელი ჩვენი ეკლესია. რვა საუკუნის განმავლობაში არა ხუთი და ექვსი იყო ჩვენში ისეთი, რომ ჩვენზე ნაკლები გრამატიკული შეგნება და ცოდნა არა ჰქონიათ სამშობლო ენისა, მაგრამ მათ საკუთარი მარჯვენით დაუწერიათ „აღვესრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა-ო“ იმიტომ, რომ ასეთი გამოთქმა ყოველ მხრივ სრული და მართებულია.

აღებული კვერქსი სულ მდაბიო და ბუნებრივი ქართული ენით არის გამოთქმული. მისი შინაარსი, თუ განგებ ქუყას ძალას არ დავატანთ, ყველამ ამ გვართ უნდა შევიგნოთ და ასეც გვესმის: ლოცვა, ვედრება, ღეთის ქება და დიდება ჩვენთვისაა სავალდებულო, ჩვენთვისაა საჭირო და სასარგლო, მაგრამ, მეორე მხრით იგივე ლოცვა არც ღეთისათვისაა საზარელი, შემაწუხებელი, უსიამოვნო, გამარისხებული და გულსატკენი; ლოცვა ჩვენ გვასპეტაკებს, ჩვენ გვაკეთილშობილებს, ჩვენ გვაძალღებს ზნეობრივით, მაგრამ ამავე დროს ეს ჩვენი ლოცვა ღმერთს ესიამოვნება, ღმერთს სათნოდ უჩანს, ჩვენს ლოცვას ღმერთი ისმენს-და მსხვერპლად ღებულობს, მოკლედ: ლოცვა ჩვენთვისაა საჭირო და ღეთისათვის საამო, აი რას გამოსთქვამს ჩვენი კვერქსი და მისი შეგნებისთვის ისე, როგორც ეპისკოპოს დავითს ჰგონია, ვერავითარ საბუთს ვერ ვიპოვით ვერც ქართული ენის ბუნებაში, ვერც ქართულ გრამატიკაში, ვერც ლოდიკაში და ვერც სხვა რამ მოსაზრებაში; ეს სულ ტყუილი დაჩემებაა და მეტი არაფერი.

ვერც ჩასართი უნი ჰმატებს რამეს ყოვლად სამღვდლო დავითის მსჯელობას. „აღვესრულოთ“-ში ჩასართი უნი სწორეთ

იმისი მაჩვენებელია, რომ აქ ვედრება სხვისთვისაც სრულდება, მაგრამ მას წინ უძღვის ვინი და იგი ამ სხვასთან ერთათ ჩვენც გვერდში გვაყენებს. ჯერ სად იყო ეპისკოპოსი დავითის წერილი, ჩვენ რომ ვამბობდით: ფორმა „აღვესრულოთ ვედრება“ მაჩვენებელია ისეთი საქციელის აღსრულებისა, რომელსაც მოელის ჩვენგან მეორე მხარე მეთქი. ცხადია, დავითზე აღრე მიგვიქცევია ჩასართისათვის ყურადღება და აქაც ტყუილათ დახარჯულა ეპისკოპოსი ნათქვამის გამეორებით.

ეპისკოპოსი დავითი გვიწუნებს კვერქსის განმარტებას; ის ბძანებს: „თუ ვინმე იტყვის: მასწავლებელს გაკვეთილი მოუმზადო, ეს შეცდომა იქნება, და უნდა გაუსწორონ-ო.“\*)

დიად, ბატონო, გასწორება ყველას ეხალისება, მაგრამ ეს იმას როდი, ნიშნავს, რომ შემასწორებელი უექველად შეცდომას ასწორებს; რამოდენია იმისთანა გამასწორებელი, რომ სწორეთ ნათქვამს ამრუდებს, ბლადავს. მოყვანილ მაგალითში არაფერი შეთხუზული, ხელოვნური და განგებ მოგონილი არა არის რა იმ ქართველისთვის, რომელსაც სამშობლო ენა შეუსწავლია ენის შემქნელი ერისაგან და არა მშრალი გრამატიკის დაზვიერებით, რომელსაც ბავშობიდან შეუთვისებია ქართლის სასაუბრო ანკარა წყაროსაკით სუფთა ენა.

მეთერთმეტე საუკუნის ხელ ნაწერი რომ პირში ბურთსა გჩრის, იქ რომ „აღვესრულოთ არის და არა „აღვესრულოთო“, ამას როგორღა მოინელებო“, მოგვახლის ყოვლად სამღვდლო დავითი.

ძალიან ადვილათ და სუბუქად. როგორც დავითისავე ნაწერიდან სჩანს,\*\*) იგი თავის მსჯელობას „აღვესრულოთ“-ის უპირატესობის შესახებ ამყარებს მეთერთმეტე საუკუნის ერთად ერთ ხელნაწერზე. ნუთუ ამ ერთი ხელნაწერის გამო გვარი უნდა დოვუსვით დანარჩენი საუკუნეების კონდაკებს? ნუთუ ეს

\*) იხ. შინ. საქ. № 10.

\*\*\*) იხილეთ ეპ. დავითისაგან გამოცემული ცხრილი.

ხელნაწერი, რაკი იგი მეთერთმეტე საუკუნისაა, უსათუოდ შეუცდომელია და იმასაც ვერ ვიფიქრებთ, რომ გადამწერს არ შეეძლო ერთი ასოს მოკლება ან მომატება? მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნოებში კონდაკის მართო ერთი ცალი ხომ არ იქნებოდა ხმარებაში საქართველოს ტაძარ-მონასრებში და სანამ არ შეგვიგროვებია იმ საუკუნოებში მიღებული კონდაკების ვარიანტები, სანამ არ შეგვიდარებია ისინი ერთი მეორესთან, რა საბუთი გვაქვს გადაჭრით ვთქვათ, რომ „აღვასრულოთ“ სწორი ფორმაა და აღვასრულოთ კი, რომელიც ყველა საუკუნოების კონდაკებშია ნ. ხმ. რა, შემცდარი და უსწორაოა? ჯერ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის კონდაკების ყველა ვარიანტები რომ ნაპოვნი იყოს და მათში რომ ყველგან „აღვასრულ“-თ“ იხმარებოდეს, მაშინაც გამოსარკვევი და საძიებელი იქნება, რატომ მოხდა, რომ ეს სწორი ფორმა ასე ჩქარა გამოვიდა ხმარებიდან და მის მაგივრად გმეფდა ვითომც შემცდარი და დამახინჯებული ფორმა და ესლა ხომ, როდესაც მეთერთმეტე საუკუნიდან ერთი ხელნაწერის მეტი არა გვაქვს, „აღვასრულოთ“-ის წინააღმდეგ ამხედრება უცნაურობის მეტს არაფერს არ წარმოადგენს.

ყოველად სამღვდელო გვიბძანებს. „დადებითი არაფერია თქვენ შენიშვნებშიო“.

განგებ რო თვალეები დახუჭოთ, ვერაფერს ვერ დაინახვთ და ვერც სხვა დაგანახებო რამეს, მაგრამ თუ საქმეს წრფელათ მოგიკიდებით, ცხადათ, დარწმუნდებით, რომ არა გითქვამთრა და ვერც რამეს იტყვიოთ როდ სმე იმ განპარტებათა წინააღმდეგ, რომლებიც დაგიყენეთ შესახებ ლოცვისა, „აღვასრულოთ“-ის მნიშვნელობისა, „აღვასრულოთ“ და „აღვასრულოთ“ ფორმებისა და ი ამას ვთვლით ჩვენი შენიშვნების დადებით მხარეებათ.

„წყალ გაღმა გაედავე, წყალ გამოღმა დაგ-რჩება“ო, ამიერი უხელმძღვანელობია ეპისკოპოს დიმიტის. ახლა მან გვიჩვენოს, მის ნაწერში

კონდაკის შესწორების შესახებ, რას სთვლის იგი დადებითი მხარედ?

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველად სამღვდელო დავეითის სიტყვები: ლოცვა „საქიროა იმისთვის, რომ ჩენი სული განსვეტადეს, და არა იმისთვის, რომ გავაგებოთ ნათ ღმერთსა ჩვენი საჭიროებანი და ან მოუღბოთ მას გული: ღმერთმა უთველივე უწყისო \*), მეტად ცუდსა და საჩოთირო შთაბეჭდილებას ახდენენ მკითხველებზე.

თუ ლოცვაში ჩვენს გაქირვებას ვერ აღვნიშნავთ ღვთის წინაშე, მაშ რას ნიშნავს ღვთის ბძანება: „ითხოვდით, და მოგეცეს თქვენ“? რა უნდა ვთხოვო უფალსა, თუ არა ის, რაც არა მაქვს, რაც მაკლია, რაც მესაქიროება? თუ ჩენი გაქარვებანი არ უნდა ვაცნობოთ უფ ლსა ლოცვით, მაშ შემცდარი ყოფილა მოციქული, რომ დასწერა „საქირ-დეს თუ ვისმე თქვენგანსა, ილოცვედინ“-ო, შემცდარა ქრისტე რომ გვასწავლა „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“, „მომოტევენ ჩვენ თანადებნი ჩვენნი, „ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“, „გვიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან“?! თუ ჩვენი ლოცვა გულის არ მოუღბობს უფალსა, მაშ რაღათ ვიხოცებით ლოცვანის კითხვით, რის მაქნისია კონდაკი თავისი კვერქსებით და საიდუმლო ლოცვებით, ან რა საქიროა თვით საღმრთო ლიტურგიის შესრულება?! უფრო გონიერი არ იქნება რომ ყველამ მივბაძოთ მეოთხმოცე წლებში გარდაცვალებულ მღვდელს კახაბერს, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, სახარებას არ უკითხავდა ხალხს და ასე მოძღვრდა მლოცველებსო: ხომ იცით შეილებო რომ სახარებაში უეჭველათ კარგი რამ იქნება ნათქვამი და მაშ რაღათ შეგაწუხოთ ჩემი კითხვით, მოდით ენთხვიეთ სახარებას, და ღმერთი შეგეწვეათო. ღმერთმა რომ ყველაფერი უწყის, ამის გამო ჩვენ აღარაფერი უნდა ვთხოვოთრა მას, აღარ უნდა ვადაუბ-

\*) იხ. შინ. საქ. 1910 წ. № 18.

სნათ მას ჩვენი გული და სვინდისი, საქირო აღარ არის აღსარების თქმა?

აი ასე ულახათოდ ნათქვამს უნდა გასწორება, თორემ „აღღუსრულოთ“ ს გასასწორებელი არა სქირსრა.

დღიობის მამიდაშვილი.

# უღლოთ ტატიკა.

(დასასრული\*).

ჩვენთა წინაშეა ისტორიულ ცხოვრების არცერთს ხანში არ ეოფილა სოციალ-დემოკრატი-თა, სოციალ-რევოლუციონერთა, სოციალ-ანარქის-თა, სოციალ-ფედერალისტთა და სხვათა ფრაქციე-ბი. იყო მხოლოდ ქართველი ნაცი. და ამ ნაციამ შეინახა, შეინარჩუნა, დაიცვა ორიათას წლის განმავლობაში მაინც თავისი განსაკუთრებული ეროვნუ-ლი თვით-არსებობა და სიცოცხლე. თვისი ეროვნული სხე, თავისი საკუთარი სული და გული, ზნე და თვისება. თავისი სინდისისა და ზნეობის აღმა-მადლებელი, გამწმენდელი, სულიერად უკვდავების მახარებელი უწმიდესი სჯული და მისი სედარი, თავისი სამკვიდრო ტერრიტორია და სხვა და სხვა... დღეს კი რას ვხედავთ?! — იქით რომ აღარ წავიდეთ, რაც ოცი საუკუნის განმავლობაში ქართ-ველმა ნაციამ დაიცვა და შეინახა თავის ეროვნულ სიცოცხლის ელემენტებად, ის სოციალისტურმა ფრაქციამ გამოსაღვარათ აღიარა და ხელიდან გაშვებია საბჭალო ჩვენ უმეცარ ხალხს. დაიხ, რაც ქართველმა ნაციამ ორიათას წლის განმავლობაში აშენა და აკეთა თავისი საკუთარ ხალხსურ სიცოცხლის უკვდავსაყოფელად, ის ქართველმა სოც-სოციალისტებმა თავიანთი ფარისევლური ქადა-გებთა და მოქმედებით ორი-სამი თვის განმავლობაში დამგერიეს, ადგვეს ჩვენი ხალხის ცხოვრე-ბის ნიადაგი და ამათ, რა სკვირეულია, ჩვენი, არიგინალური ეროვნული სიცოცხლეც სამარის ში-რად მიიფარეს.. ამ ჭურის სოციალისტებისთვის

როგორც დმერთი, სარწმუნოება, სულის უკვდავება ისე ეროვნება, სამშობლო საკუთარი, ტერრიტორი ტერინის დამამძიმებელი გამოქსადგვარი ბარგია, მათზე ზრუნვა და ფიქრი რა სკადრასია სოცია-ლისტისთვის. სკვირეულია რომ ამ აზრშიაც დიდს შეცდომას იჩენენ ჩვენი ძაღად მაცხოვრებელ-ნი (უფრო კი წამწემედელნი) სოც-სოციალის-ტები. სოციალიზმი, ეროვნებას უარს არა ჰყოფს, როგორც ბუნებრივ, სახეს აღმანთა გუნდისა. რადგანაც კაცობრიობა სხვა და სხვა ეროვნების სხით არსებობს, სოციალიზმის მიზანია უველა ეროვნება შეიქნეს სრული დამოუკიდებელი თავისუ-ფალი და გათვითცნობიერებული თავის ეროვნულ ნიადაგზე. სოციალიზმი ზოგაერთ სახელმწიფოე-ების შეთაურობის პოლიტიკურ მოაზრების შექმნილი მტნება ხომ არ ჰგონათ ჩვენ სოც-სოციალის-ტებს, რომ რომელიმე ერის ეროვნული თვით არსებობის მოსწობა და გადაკვარება, კადრეული-ბა ჰქონდეს მიზნად?! — ასეთივე უვიცობისა და უცკუობის ნაყოფია ის აზრიც, რომლითაც ჩვენ ხალხს, ვითომცდა სოციალიზმის მხილებით, ეისო ქრისტეს დვთაებაზე და მის სხარებაზე უარი აყოფიეს და ქრისტეს წმიდა ტახტზე ებრაელი ფანტიკოსი წამოსკუენეს, და მაცხოვრის სხარე-ბის მაგიერ მისი თხზულება დაუსვენეს ჩვენ ხალხს ათასხუთასა წლის განმავლობაში სულიერათ ზედმეტად, სსაკებით თაფანცემულ, მარონცე-ბულ ტრანეზზე.. ჭკუა-აზროვნებით გენიოსობა, სწავლა განათლებით, კანაერებით წინსვლა-ბრგ-რესი თუ გნებავსთ, აი ეს არის!.. მაგრამ ერთი კი უნდა ვიკითხოთ: ქრიტიანობასთან, სოციალიზმს რა საბრძოლი აქვს? ამ ჭკუენად კაცობრიო-ბის კეთილ წარმატებით ცხოვრების შესახებ მდვთაებრივა აზრი ქრისტეს ზეციური იდეალისა და აზრი ფელოსთფიურ სოციალიზმისა ერთი მე-ორის ახლო ნათესავები არიან. ორივე მტნების საზრუნველი ნიშანია მთელი კაცობრიობის ერთ-ბაშად გონებრივად და ზნეობრივად ამაღლება, განვითარება, განათლება, ძმობა, ერთობა, თანასწორი ბედნიერი ცხოვრობა მამასადამე რომე-ლი ტიპის ჭკუის ნაშობი აზრი უდევს საფუძვლად იმ საქციელს, რომ სოციალიზმი, ქრიტიანობასაც დაატაკეს და ფეხით გაათელიეს უმაღლესი სიწმი-დე?!.. მაგრამ რამდენი ამისთანა შეცდომები უნდა

\* იხ. შინ. საქმ. № 19.

აღვებულო? და რომ კიდევ აღვებულო სრულათ, განა შეიგნებენ თავიანთ შეცთომას და მოინანიებენ თავიანთ ჩადენილ ცოდვებს ჩვენი ანტი-სოციალისტები? რა საფიქრებელია! ისინი არასოდეს თავიანთ თავს შემცთარათ არ აღიარებენ და არც უუარს უფიქრ მათ მიერ ჩადენილ ბრბაროსობას ფილოსოფიური სოციალიზმის ტაქტიკა უწოდონ. მაშ რაღათ დავიდალოთ მე და შენ, ჩემო კლამო, თუ კი ჩვენი დასაბუთებული დადადი დარჩება ხმად მღადაღებულის უდაბნოსა შინა? ..

**მ. გელოვანი.**

**საით მივეყვართ მცირე ცოდნას.**

ამ სათაურით მოთავსებულია ჰეტერბ. ველო-მოსტებში შემდეგი სტატია ნ. დურნოვისი, ამბობს „ზაკავაზი“ და მოჰყავს ეს სტატია:

„Земщина“. მ ცოტა ხნის წინეთ ქაქა-და დაყარა საქართველოს რუს ექსპრესის მძალე უოვლად უსმელეფის ინკენტის ლიბერალიზმს, რომელსაც ერთხანად მაინც რუსი და ქართველი. ამისთანავე იგი იცავს სოხუმის ეპისკოპოსს დიმიტრის, რომელიც არ ემორჩილება მს. მართლმადიდებელ ეკლესიის საღმრთო კანონები. ცაზეთისთვის უცობია, რადგან თუ მას ჰქონდა რაიმე წარმოდგენა მათზე და ცოდნადა სეკულერი ისტორია, უთუოდ გაითვალისწინებდა, რომ მათი დარღვევა ნიშნავს ამ ეკლესიის საფუძვლის გამოხრას, რომელზედაც ეკლესია სდგას. ივერიის ეკლესიის საზღვართა შორის, ე. ი. ქართლში (თბილისის გუბერ. და ზაქათ. ოლ.), იმერეთში, მეგრეთში, სამურზაყანოში, გურიაში, აფხაზეთში, ქაბულეთში აჭარაში არ არის რუსეთის ეკლესია, არამედ არის უბელო, სამოციქულო, ჯვარმტოროველი, დიდებული წამებითა ქრისტესთვის ეკლესია ივერიისა, დახერგილია წმ. მოციქულების მიერ ბირველ წოდებული ანდრასა და სამან კანანელისაგან და განათლებულია წმ. მოციქულთა სწორ ნიხოსაგან, — ეკლესია, რომელიც ეგვლა ზუტოკეფალურ ეკლესიათაგან მხოლოდ ერთი სდგას თანსწორ მრავალტანჯულ ბერძელ ეკლესიებისა და უაღსურებელი გუნდი წმიდათა მოწამეთა და აღმსარებელთა, რომე-

ლთა რიცხვი რუსეთის ეკლესიაში მცირეა.

ნუ თუ ჩვენ მართლმადიდებელი უნდა ვაწრობდეთ მოწამე — ეკლესიის მორწმუნეებს გარუსების გულისთვის? თქვენ არ მოგწონთ ზოლონელებისა და მადიარების მოქმედება შესახებ რუსებისა გალიჩინაში და უგორის რუსეთში; თქვენ იმათ ძრახავთ — და თქვენ შოვინისტურ ქადაგებას შესახებ ძალიან მამრეობისა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენლების საქართველოში პოლიტიკურ აკენტებად და აგიტატორებად გარდაქმნისა ნუ თუ არ მივეყვართ ეკლესიის დაქცევამდის?

როგორ შეუძლიათ, თუნდ არა რუსთ, მაგრამ სულათ ერთს ჩვენთან ხაღხებს, იმედი იქონიონ თავის მართებლობისა, მოელოდენ მისგან სიუვარულს, ს. მართლიანობას, სიკეთეს, წყალობას რადესაც შოვინისტური ორგანოები ჩვენი ტლანქი პანსლავისტებისა (როგორც არის „Нов. врем.“ და მისი თანამაზრენი) დადაღებენ მიქლეარებას, უსამართლობას არა რუს ხაღხთა მიმართ? განასეთი გზით შესაძლებელია მე XX საუკუნეში სახელმწიფოს გაერთიანება და გაძლიერება? ეხება უაღბო მანარქისტულს ვერ გაანჩვე ფარმისონისა და რეფორმატორებისაგან.

ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვეჭირვება, რომ ეკლესიაში სუფევდეს მშვიდობა, რომ არ ირდვე ვოდეს მისი თავისუფლება, საღმრთო კანონები, რომ ეკლესიათა შორის არსებობდეს ერთობა, მეგობრობა, თანხმობა, მაგრამ მაშინ რაღას მაქნისნი არიან სასულაერო პოლიტიკანება, რომლებიც ქართველების, ბესარაბიელ მოღვაწეების და სხვა არა რუს ხაღხთა სეპარატიულ მიმართულებაში ბრადეებაზე ამუარებენ თავის წინსვლას სამსახურში და სახელმწიფოს არა მცირე ხარჯს აძლევენ მათი მოღვაწეობისთვის.

სრული ჰემარიტებაა, დავსძენთ ჩვენ ჩვენი მხრით, და რუსეთი ვერ დაასახელებს ისეთ ხაღხს რომელიც ქართველებზე უერთგულესი იყოს მისი. მხოლოდ ამ ერთგულებას შენახვა უნდა, დავა შოვინისტებისა და შოვინისტურ ჟურნალისტებისაგან. ვინც რუსებს ქართველებზე აქვებს, ვინც ცდილობს გადაჭვიდოს ერთი მორეს ორი ერთ მორწმუნე ეკლესიის უდიდესი მტრითა რუსეთისა

და ძირს უთხრას მის გაგლეხას საქართველოში. დროა შევავნოთ ეს ჭეშმარიტება და შევცვალოთ ძალმომრეობითი და გამარჯვებელი პოლიტიკა.



### სიტყვა,

თქმული მღ. სერგი მაჭარაშვილის მიერ, ს. რგანში გარდაცვალებულის მღვდლის ბესარიონ ყიფშიძის დასაფლავებაზე ამა 1910 წლის 27 აპრილს.

ძვირფასო და დაუვიწყარო, ღირსო მამაო ბესარიონ აზრი და ენა არ მემორჩილება სიტყვის თქმად მწუხარებისა გამო, მაგრამ დიდ ცოდვად მიმაჩნია უკანასკნელი ვალი არ აღვისრულო და შენი დიდი ღვაწლი და შრომა ორადღე სიტყვით მაინც არ აღვნიშნო. პატივცემულო საზოგადოებავ! ვინაითგან თითოეული ჩვენგანი მზათაა პატივი სცეს განსვენებულს მ. ბესარიონს და უკანასკნელი მადლობა მიუძღვნას მას განვლილი კეთილი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის, ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია, მოკლეთ განემარტო საერთოდ მოვალეობა მოძღვრისა, რომ მით უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ განსვენებულის პიროვნება, ვითარცა მოძღვრისა, და უფრო ღირსეულადაც დავაფასოთ იგი.

დიდია ძმანო და დანო, მოვალეობა მოძღვრისა. მოძღვარი არის წმ. მოციქულების მოადგილე, შუამდგომელი ხალხისა წინაშე ღვთისა, წმ. და დიდი საიდუმლოების შემასრულებელი, სული წმიდის მადლის გამომწვევი ხალხზედ და სასტიკი პასუხის მგებელი წინაშე მაცხოვრისა დიდი განსჯის დღეს, რომელმაც თვითეულ მისდამი რწმუნებულ სულის წაწყმედისა და დაბრკოლებისათვის სასჯელი უნდა მიიღოს, ხოლო მოპოვებისა და ცხოვრებისათვის საუკუნო ნეტარება დაიმკვიდროს. მძივია მოვალეობა მოძღვრისა; ყოველი სხვა სამსახურისაგან განირჩევა იგი. სხვა სამსახური განისაზღვრება დროთი და საათობითაც, მღვდლის სამსახურმა კი არ

ცის ეამი და უეამობა, დღე და ღამე, დასვენება და დაღლილობა; მოძღვარი უნდა იყოს ფიზიკური დარაჯი თვისი სამწყსოისა, რომელმაც შემთხვევის დროს თვისი სულიც უნდა დასდვას ცხოვართათვის. ხშირათ შეხვედბა მოძღვარს ისეთი მძიმე შემთხვევები, როგორიცაა მაგ. გადამდები სენით ავადმყოფობა სამრევლოში, როდესაც ხშირად ქმარი ცოლსა და ცოლი ქმარს, მამა შვილსა და შვილი მამას და ახლო ნათესაეები ერთმანეთს მიატოვებენ ხოლმე, აღარ ეკარებიათ. ვინ არის ასეთ დროს ავადმყოფის მანუგეშებელი?— მოძღვარი, რომელმაც ვალისამებრ თვისისა, კაცთ-მოყვარეობა უნდა იხმაროს, ცოლშვილი გაიმეტოს, თვისი სიცოცხლე გასწიროს, სიკვდილი თვალწინ დაინახოს, ავადმყოფი გაამხნოს, აღსარება ათქმევინოს და წმ. საიდუმლო მიიღებინოს. ერთი სიტყვით მოძღვარმა ღვთის საქმე ყოველ დროს და ყოველგან ბეჯითად უნდა ასრულოს, ხოლო შემთხვევის დროს ყოველივე გაქირვება და განსაცდელი მხნედ უნდა დაითმინოს. აი ასეთია, მოკლეთ რომ განემარტოთ, მოვალეობა მოძღვრისა. ამისათვის ბედნიერია ის მოძღვარი, რომელიც ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას, ხოლო უბედურია, თუ უღირსად გაატარებს მას.

ზემოთქმულის თვალსაზრისით რომ შევხედოთ განსვენებულ მ. ბესარიონის მოღვაწეობას, ქეშმარიტად ბედნიერი და ღირსეული მოძღვარი ყოფილა იგი, ვინაითგან მან პირნათლათ და უმწიკვლოთ შეასრულა თავისი მრავალ და კეთილ-უამაერი მოღვაწეობა წინაშე ღვთისა და ხალხისა, რადგანაც იგი იყო პატიოსანი, გულკეთილი და შემბრალე მამა ხალხისა და ბეჯითი აღმასრულებელი თვისი მოძღვრული მოვალეობისა. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას თვისი სოფლის წარმატებისათვის, შეხედეთ ძმანო, ამ სოფლის ახლად აშენებულ დიდებულ ტაძარს თვისი დიდებულის მორთულობით და წარჩინებული გალავნით, ყოველივე ეს ნაყოფია მ. ბესარიონის დაუღალავი შრომა-მოღვაწეობისა. მის ოჯახურ მდგომარეობასაც რომ დავაკვირდეთ, სამა-

გალითა იგი თითოეული ჩვენთაგანისათვის, ვინაითგან იგი იყო დიდი მშრამელი და მუყაითი მეოჯახე, ნამდვილი მამა და წესიერი აღმზრდელი თვისი შვილებისა, სამაგალითო წინამძღოლი თვისი ოჯახისა, და ხომ ამის თავდებია ეს ამოდენა პატივცემული საზოგადოებაც, აქ თავმოყრილი მის პატივისაცემად. ყოველივე ამისათვის უღრმეს პატივს ვსცემთ რა შენს კურთხევას და გულიწრფელ მადლობას გიძღვნით რა კეთილი ღვაწლისა და შრომისათვის, უკანასკნელი სიტყვით მოგმართავთ მ ბესარიონ! მწყემსო კეთილო, ღირსეულო მუშაკო, ღირსეული წინებოს ღმერთთან შენი ამ ქვეყნიდან გასვლა და მსვლელობა დიდებულ ზეციურ სამშობლოში. ამ ქვეყნიური პატიოსანი მოღვაწეობისათვის მაგიერი მადლი და კურთხევა მოგაგოს ღმერთთან, შენ სულს სასუფეველი დაუშკვიდროს, შენ კირისფლებს მოთმინება და მხნეობა მიანიჭოს, შენი ლოცვა-კურთხევის მადლი შეგვაწიოს ყველას და შენი კეთილი ხსოვნა ჩვენში დაუვიწყარი ინებოს.

მლ. სერგი მაჭარაშვილი.

### მოწერილი აბები.

**დ.საჩხერე.** შემდეგი გარემოებიდამ ცხადათ სჩანს, თუ როგორ ფეხქვეშ ითელება მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი წმიდანები, არა თუ სხვა სარწმუნოების, არამედ თვით უმაღლესი სამმართველოს წარმომადგენლებთაგანაც.

აი საქმე რაშია: წარსული წლის 15 ივნისს, ასე შუადღის დროს, ჩემს ეზოში შემოვიდა საჩხერელი ვაჭარი ურია, შაბათა ნანიკიშვილი; ჩემთან იყო სტუმრათ ჩემი შვილი, მღვდელი ვარლამ წერეთელი. აგრეთვე სახში იყვნენ ორი ჩემი ქალიშვილი—მასწავლებლები მეც სახში ვიყავი. შემოვიდა ურია ეზოში თუ არა, გახსნა ფართალი

ღ დაიწყო ვაჭრობა. ურიას ცხვირი ქონდა შეხვეული ცხვირსახოცით. კითხვაზე, თუ რათ აქვს მას ცხვირი შეხვეული, უპასუხა, რომ იგი დასკრა ერთმა გადარეულმა თავადმა, რომელსაც არც ღმერთი სწამს და არც რჯულიო. რჯულის ხსენებაზე მღვდელმა ვარლამმა კითხა მას, თუ ესმის რამე რჯულის შესახებ. იან უპასუხა, რომ კარგად იცის ყოლიფერი. დაიწყეს ჯერ ძველ აღთქმაზე ლაპარაკი, მერე ახალზე გადავიდნენ, რომ ახსენეს მღვთისმშობელი, ურიამ ისეთი საძაგელი სიტყვები მოიხსენია ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი, რომ მე მაშინვე ის გარეთ გავავდე. ურიის მიერ ღვთის მშობლის უშვერი სიტყვით მოხსენება მე ვაცნობე ქუთაისის ოლქის პროკურორს, რომელმაც სასტიკი გამოძიება დანიშნა გამომძიებელმა საქმე გამოიძია, ურია დააპატიმრა და საქმე სულში გაგზავნა. ეს საქმე გააჩნია ოლქის სასამართლოს სესიამ საჩხერეში, სადაც ყოველივე დამტკიცდა, მაგრამ ჩვენდა გასაკრად ურია გამართლდა იმ საფუძვლით ვითომ ჩემმა შვილმა, მღვდელმა ვარლამმა, მას 25 მანეთის ნისია სთხოვა, იგი არ დაეთანხმა და ამისათვის ჩვენ, ვითომდა, შური ვიძიეთ. მოწმეთ ყავდა მისივე მხლებელი 14 წლის ურია. ორ მღვდელს, და ორ მასწავლებელს არ დაგვიჯერა სულმა და 14 წლის ურიას კი. მაგრამ ნუ ბრძანებთ, თურმე, როგორც მერე შევიტყვე, ორი წევრი სესიისა ნაურებიო ყოფილან ამისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რათ გამართლდა ღვთის მშობლის მგმობელი ურია!

დეკ. ი. წერეთელი.

**საფ. ნიგოზეთი.** ამ წლის ერთ მშვე ნიერ აპრილის დღეს, ს. ნიგოზეთში, თავი მოეყარა სვერის საბლალოჩინო ოლქის სამღვდელოებს, რომ აერჩიათ თვის შორის ბლალოჩინისათვის თანა შემწე. დასახელებულ სამ კანდიტატთაგან ერთი თავის და თავად მოეხსნა, რის შემდგომ დარჩა ორი—მ. მ. ლ—მე და გ—ლი

რომელთაგან უნდა ერთი და ერთი გათეთრებულიყო. მაგრამ, სირცხვილო!.. ერთს შეორე გაუბთებია და შეორეს პირველისათვის შავი კენჭი მიუმკვლევი. ამას აშკარათ მოწმობს იმ დღეს დამსწრე სამღვდელოების მეტი წილი და თუ ეს მართალია, სწორეთ რომ ყოველივე მოწამლულა ამ მართლა და უკუღმართ დროს.

იყო დრო, რასაკვირველია უწინ, როდესაც მღვდელი მღვდლობდა და ბერი ბერობდა, ერთი ტანჯვა და ვაება უნდა გამოეცვლო მათ რაიმე არჩევნებში. როდესაც მათ რაიმე უფროს ადგილს(თანამდებობას) შეაძლევდნენ, იგინი ყოველთვის უარზე იდგნენ ნიშნად კრძალვისა და სიმდაბლისა, თავის თავს უღირსათ სცნობდნენ, მარხვასა და სინანულს მისცემდნენ თავს, მუხლ-მოდრეკილი და ხელებ აპყრობილი ზეცად, იმეორებდნენ: უფალო, სულსა მთავრობის მოყვარებისასა ნუ მიმცემ შეო... და მხოლოდ რაიმე ჩვენების შემდეგ დასთანხმდებოდნენ.

ებლა? ებლა ყოველივე შეიცვალა. ორი კვირის წინ გულმოდგინეთ ვიმეორებდით ამ სიტყვებს და დღეს რომელი გავასწრებთ წინ უკუღმართობით—არ ვიცი, მღვდელი თუ ერი? ნეტავ არ ეწეროს მაინც იმ დალოცვილ წიგნებში ეს სიტყვები. თუ მართლა საღმრთო წერილის წიგნების შესწორება მოხდა, ძლიერ კარგს ინებებენ, რომ გამოუშვებდნენ ამ სიტყვებს და მით, ფრთა გაშლილ დღევანდელ ჩინ-მენდლების მოტრფილად ზოგიერთ სამღვდელოათაგანს ამ გვარი უპრიანო სიტყვებით გულს არ შეუწუხებდნენ.

—ღვინიაშვილი.

ბერობის და მონასტრების საკითხის  
კამო ჩვენში.

ბ. ხელი შინაური საქმეების №19 დასტორის ჩვენში ბერობის და მონასტრების და კნინებას. სამართლიანია ჩივილ-ტირალი ბ. ხელისა.

ბერობის დაკნინებას ჩვენში აქვს თავისი მიზეზები, რომლების ძირიც ღრმად დამარხულია ეხლანდელი ჩვენი ცხოვრების და მდგომარეობის პირობებში.

ბერობის დაკნინების მიზეზთა შესახებ ლაპარაკი ჩვენ სხვა დროისთვის გადავიდეთ, ებლა მხოლოდ შევხებით დარიის მონასტერს, რომელსაც ბ. ხელიც ეხება თავის წერილში. აქვე საჭიროდ ვრაცხთ წინაღვე აღვნიშნოთ, რომ პირადი ინტერესები არ გვალაპარაკებენ.

ბ. ხელს უკვირს, რომ დარიის მონასტერმა არ მოსცა საქართველოს არც ფილოსოფოსი, არც ღვთის მეტყველი და ზნეობის მოძღვარი. ჩვენი შეხედულობით, აქ არაფერი არ არის გასაკვირველი. მეცხრამეტე საუკუნეში დაარსდა დარიის მონასტერი; ის ჯერ ახალია; შეეძლო გაეკეთებინა რამე მაინც ერის სასარგებლოდ, მაგრამ არა გაუკეთებია რა. ვიკითხოთ ეხლა, რა გააკეთეს მეცხრამეტე საუკუნეში ძველ ოდესმე დიდებულმა გელათმა, გარეჯამ, ვარძიამ და სხვათა? არაფერი იმისთანა, რაც რომ არ გაეკეთებინოს დარიის მონასტერს. დარიაშიც და სხვა ძველად ქებულ მონასტრებშიც მეცხრამეტე საუკუნეში იზრდებოდნენ საღიკვნოები და სამღვდელოები და იზრდებიან ეხლაც. მეტი არაფერი! ყველა ჩვენი მონასტრების გარდა დარიისა, არიან ქებულ დიდებულნი და საქებელ-საღიდებელნი მხოლოდ და მხოლოდ თავის წარსულით, აწმყო მდგომარეობა მათი ყველასი ერთნაირია, ყველა ისინი ერთ გვემაზე არიან ჩამოსხმულ-ჩამოყალიბებულები, მომავალი კი ღმერთმა უწყის. ძველად დიდებულნი გარეჯა, გელათი და სხვანი, ესა არაფერს არ აკეთებენ ქვეყნისთვის დარიის მეტს; ამაზე დასაწმუნებლად დიდი ღარი და ხაზი არ არის საჭირო. შუაგულ ქალაქში მდებარეობა დარიის მონასტრისა ვერაფერი მიზეზია მის დასახურად და თუ მაში მცხოვრებ ბერთა ზნეობა და ცხოვრება არ არის მოსაწონი, არც ზოგიერთა უდაბნოში და სოფლებთან ახლო მდებარე მონასტრის ძანი ცხოვრებენ ხანდახან ბერულად, მაგრად მათ არაფერს ჰკეტავს. კვალად ვიმეორებთ, დარიის მონასტერს აწმყო, ებლა-

ნდელს მდგომარეობაში იგივე ღირსება და ნაკულღევენებანი აქვს, რაც სხვა ეხლა არსებულ მონასტრებს; წარსული კი ღირსისა ვერ შეედრება გელათის, ვარჯის და სხვა ძველ მოსტერთა წარსულს, რადგანაც ღირსის წარსული სულ არა აქვს. ამიტომ, თუ მოსასპობია, ეხლანდელი მდგომარეობის მიხედვით, ღირსის მონასტერი, მაშინ გასაუქმებელი არიან ყველა სხვა მონასტრებიც, რადგანაც ღირსზე მეტს ისინიც არას აკეთებენ.

მეც თქვენთან ერთად, ბ.ხელო, მოტრფიალე ვარ ბერობის აღორძინება-აღყვავებისა ჩვენში, მაგრამ ამისთვის საჭიროა თავდადებული, უანგარო და მედგარი შრომა და ჯაფა და არა ერთი და ორი თაობისა! მალე აშენებული, მალევე დაინგრევა. ინებოს შინაური საქმეების რედაქციამ და დაუთმოს ფურცლები ბერობის და მონასტრების საკითხებს ჩვენში; ითქმება ბევრი მონასტრების წინააღმდეგაც და დასაცველდაც და შეიძლება გამოირკვეს გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ ბერობის აღორძინებაში.

სასულიერო.

**ОБЪЯВЛЕНИЕ.**

ХУДОЖЕСТВЕННАЯ И ИКОНО-  
ПИСНАЯ МАСТЕРСКАЯ

**А. И. ЖИРЯКОВА**

Въ гор. Кутаисѣ

принимаетъ заказы на иконы и стѣн-  
ную живопись всякой художественной  
работы по весьма умереннымъ цѣнамъ.

Имѣются одобрителныя отзывы отъ  
преосвящ. ЛЕОНИДА, настоятелей  
монастырей и соборовъ.

**განცხადება.**

„შინაური საქმეების რედაქციაში“

იყიდება შემდეგი წიგნაკები:

- 1, წიგნი წიგნთა ფასი — — 5 კაპ.
- 2, სწამთ თუ არა მეცნიერებს ღვთის არსებობა — — — 5 კაპ.
- 3, ქრისტე ღმერთია? — — 10 კაპ.
- 4, ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში — — — 10 კაპ.
- 5, ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეცნიერებასა და ცხოვრებაზე — — — 10 კაპ.
- 6, სიკვდილი მართლისა — — 5. კაპ
- 7, პატარა ქრისტიანი — — 2. კაპ.

ვინც ერთად ოც ცალს ან მეტს დაიბარებს მანეთზე აბაზი დაეთმობა.



რედაქტორი, მღვდელი **სიმონ მჭედლიძე**.  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

**ვაგუალებ**

**საქვალეთ & სპიკუნთ**  
**საბნეში,**

აგრეთვე **სამასწავლებლო**  
**ეგზემენის ასაღებად.**

ადრესი: ქუთაისი, კახაკოვის ქუჩა, № 17